





საპროცესო შეთანხმებების შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი

- ▶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეების პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია - 2018 წელს 66%, ხოლო 2019 წლის პირველ ნახევარში 64% იყო.
- ▶ საქართველოს პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში მიხედვით, 2016-2017 წლებში საპროცესო შეთანხმებებში ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით შემცირებულია.

- ▶ 2009-2017 წლებში საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ბიუჯეტში ჩარიცხული ჯარიმის ოდენობა პროკურატურის ანგარიშის მიხედვით შემდეგია:




- ▶ სასამართლო გადაწყვეტილებების მიხედვით საპროცესო შეთანხმებისას ყველაზე ხშირად პირობითი მსჯავრი და ჯარიმა გამოიყენება, ყველაზე იშვიათად კი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

- ▶ პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებათა ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საპროცესო შეთანხმებები ყველაზე ხშირად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე გამოიყენება (50%).



- ▶ სასამართლო წარმოების პროცესში საპროცესო შეთანხმების გაფორმება ყველაზე ხშირად პირველი წარდგენის სხდომაზე ხდება.



- ▶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატის ღონისძიებების სახეები გაფართოვდეს და სასამართლოსა და პროკურატურას მიეცეს შესაძლებლობა უკეთ მიუსადაგონ ადვოკატის ღონისძიება ბრალდებულის პიროვნებასა და საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს.

- ▶ უზრუნველყოფილი იქნეს სასამართლოების მიერ ბრალდებულის მიერ საპროცესო შეთანხმების გაფორმების ნებაყოფლობითობისა და სხვადასხვა გარეშე ფაქტორების სიღრმისეულად შესწავლა. მათ შორის, საპროცესო შეთანხმების დადების საჯარო ინტერესის გამოკვლევის გზით შეაფასონ, ჰქონდა თუ არა ბრალდებულს სხვა არჩევანი, გარდა საპროცესო შეთანხმებაზე დათანხმებისა.

- ▶ უზრუნველყოფილი იქნეს სასამართლოების მიერ მეტად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე.

- ▶ საპროცესო შეთანხმების გაფორმების სხდომაზე, ყველა შემთხვევაში, პროკურორმა წარადგინოს ინფორმაცია ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობებისა და პიროვნული მახასიათებლების შესახებ, ხოლო სასამართლომ გამოიკვლიოს, რამდენად სამართლიანი და კანონიერი მხარეების მიერ განსაზღვრული სასჯელი.

- ▶ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეებმა და პროკურორებმა იხელმძღვანელონ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებების სტანდარტით, რაც თავისი არსით უთანაბრდება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

- ▶ განისაზღვროს საპროცესო შეთანხმების გამოყენების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის ერთიანი ბაზის შექმნა და დამუშავება, სტატისტიკის წარმოებაზე პასუხისმგებელი უწყებები და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

რეკომენდაციები:

- ▶ მოსამართლეს მიენიჭოს უფლებამოსილება დანიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი საპროცესო შეთანხმების დადების გარეშე.

- ▶ კანონმდებლობით დარეგულირდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან/და მისი ადვოკატის მიერ საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოთხოვნით განცხადების განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და დასაბუთების პროცედურები/საფუძვლები.

- ▶ კანონმდებლობით განისაზღვროს საპროცესო შეთანხმების შეთავაზების ოქმის შედგენის სავალდებულო წესები და მასში მისათითებელი გარემოებების ჩამონათვალი.

